

"ღიბერასტური მმართველობა, რომელიც არის ქვეყანაში, უნდა შეწყდეს"



“ქართული მარშის” მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობასთან აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეებმა ფიდარმონიიდან პარლამენტის შენობამდე მსვლელობა მოაწყვეს. როგორც “ნიუპოსტს” აქციის ერთ-ერთმა რიდერმა სანდრო ბრეგაძემ განუცხადა, ისინი 17 მაისამდე მოქმედებების შეჩერებას არ აპირებენ.

სანდრო ბრეგაძე “თეთრი ხმაურის მოძრაობის” მიერ აქციის შეწყვეტას სწორედ “ქართველი ხაზის მოთხოვნას” უკავშირებს.

“ გვინდა უბრალოდ გავიაროთ რუსთაველის გამზირზე და მშვიდობიანი ფორმით დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღიბერასტური მმართველობა, რომელიც არის ქვეყანაში, უნდა შეწყდეს ”, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

რაც შეეხება 17 მაისს დაგეგმილ აქციას ბრეგაძე ამბობს, რომ რუსთაველზე“განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს” არ გაატარებს.